

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, ახორციელებს ფართომასშტაბიან ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირებას. ამ მხრივ მიმდინარეობს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ინიციატივა:

კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) მიერ დაფინანსებული პროექტი - „მრავალი საფრთხის შემცველი ადრეული შეტყობინების სისტემის გაფართოვება და კლიმატის შესახებ ინფორმაციის გამოყენება საქართველოში“, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული პროექტი - „კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“, შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტი - „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკებისადმი თემების მედეგობის გაძლიერება“.

აკსეპული სიგუანია



აკოზაკის ბიუჯეტი:



- კლიმატის მწვანე ფონდი
- შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო
- საქართველოს მთავრობა
- შვედეთის მთავრობა

პროგნოზი მოიხავეს საქართველოს 11 მდინარის პუზს - ენგურის, რიონის, ჭოროხი-აჭარისწყლის, სუფსას, ნატანების, ხობის, ვინტრიშის, ხრამი-ქციას, ალაზნის, იორის და მტკვრის და ორიენტირებულია კლიმატის ცვლილებებით განპირობებულ ისეთ მრავალმხრივ საფრთხეებზე, როგორებიც არის წყალდიდობა, ზვავი, მენყერი, ღვარცოფი, სეტყვა, გვალვა და ძლიერი ქარი.





პროგნოზი მოიხავეს სამი ძირითადი რისკი:


- 1** კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული რისკების და საფრთხეების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ხელმისაწვდომობას
- 2** ადრეული შეტყობინების სისტემების შექმნას
- 3** ადგილობრივი თემების მედეგობის გაძლიერებას


პროგნოზის შედეგად:


- გაიზრდება საქართველოს მოსახლეობის მედეგობა კლიმატური საფრთხეების მიმართ, შემცირდება კლიმატური კატასტროფების ზეგავლენა მოსახლეობაზე, ინფრასტრუქტურასა და საარსებო გარემოზე, ხოლო **1.7 მილიონი ადამიანი** (ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 40%) უკეთ იქნება დაცული კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფებისგან.
- მნიშვნელოვნად გაფართოვდება ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი (შეძენილი და დამონტაჟებული იქნება **140-ზე მეტი სადამკვირვებლო მოწყობილობა**), გაიმართება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემა, რაც გრძელვადიან დაკვირვებებს და შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებას შეუწყობს ხელს.
- შეიქმნება ერთიანი მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც მომზადდება მრავალმხრივი საფრთხეების რუკები **11 მდინარის აუზში**, რაც ხელს შეუწყობს საფრთხეების და რისკების შესახებ ინფორმაციის გამდიდრებას.
- 11 მდინარის აუზში** ჩატარდება სოციო-ეკონომიკური მონაცემების შესწავლა, შეიქმნება რისკის პროფილები და შეირჩევა **100 ყველაზე მონაცემადი თემი**.


- 


შეიქმნება **ცენტრალიზებული საინფორმაციო სისტემა**, რომელიც გააერთიანებს ინფორმაციას რისკების, საფრთხეებისა და მონაცვლადობის შესახებ ქვეყნის მასშტაბით. იგი ხელმისაწვდომი იქნება როგორც სხვადასხვა სამთავრობო უწყებებისთვის, ასევე მოსახლეობისთვის, რომელიც ქვეყნის მასშტაბით გააერთიანებს ინფორმაციას რისკების, საფრთხეებისა და მონაცვლადობის შესახებ.
- 


შეიქმნება და გაუმჯობესდება მრავალი საფრთხის მომცველი **ადრეული შეტყობინების სისტემა**, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი საკოორდინაციო და საკანონმდებლო მექანიზმებით.
- 


გაუმჯობესდება ამინდის მუსტი პროგნოზირება და ადრეული შეტყობინება მოსალოდნელ ბუნებრივ საფრთხეებზე, რაც საშუალებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას თავიდან აიცილოს ან/და მინიმუმამდე დაიყვანოს ბუნებრივი საფრთხეებით გამომწვეული რისკები/მიყენებული ზიანი.
- 

გაუმჯობესდება ფერმერებისთვის **აგრომეტეოროლოგიური საინფორმაციო პროდუქტების მიწოდება**.
- 

11 მდინარის აუზისთვის შეიქმნება **მრავალი საფრთხის მომცველი რისკების მართვის გეგმები**; **10 მუნიციპალიტეტში** მომზადდება რეაგირების და მზადყოფნის გეგმები.
- 

100 ყველაზე მონაცვლად თემში განხორციელდება **კატასტროფების რისკის მართვის აქტივობები**, რომელიც მოიცავს ბიო-ინჟინერულ გადაწყვეტებს.
- 

15 ლოკაციაზე განხორციელდება წყალდიდობის საწინააღმდეგო **ინფრასტრუქტურული ღონისძიებები**.
- 

100 ყველაზე მონაცვლად თემში განხორციელდება ცნობიერების ამაღლების და **საგანმანათლებლო აქტივობები**.
- 

გაძლიერდება სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი მოსახლეობის, სამეცნიერო და არასამთავრობო სექტორის შესაძლებლობები, როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე.

აკოაქჯი თანაშრომლობს ზედიზე უწყებაბთან:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებები (სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო)
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (საავტომობილო გზების დეპარტამენტი)
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებები (საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112)
- თბილისის მერია